

ციფრული ტრანსფორმაციის გავლენა თარგმანზე

მეტრეველი მედეა

იაკობ გოგებაშვილის სახელობის თელავის
სახელმწიფო უნივერსიტეტი

DOI: <https://doi.org/10.52340/tuw.2024.37.01.21>

აბსტრაქტი. თანამედროვე საინფორმაციო ტექნოლოგიებისა და ინტერნეტის აქტიურმა განვითარებამ მთლიანად შეცვალა მთარგმნელების მუშაობის რეჟიმი და ის უფრო მოსახერხებელი გახდა.

კვლევის საგანია თარგმანის ტექნოლოგიურ მხარდაჭერასთან დაკავშირებული საკითხები, თარგმანის დიგიტალიზაციის დადებითი და უარყოფითი მხარეების და თარგმანში ციფრული ტექნოლოგიების გამოყენების საზღვრები და შესაძლებლობები.

კვლევის მიზანია საზოგადოების დიგიტალიზაციის პრობლემებთან დაკავშირებული თანამედროვე დისკუსიების შესწავლა; ასევე ამ პრობლემების გააზრების გაანალიზება როგორც ფილოსოფიაში, ასევე სპეციალურ მეცნიერებებში, კერძოდ, მთარგმნელობით კვლევებში.

კვლევის ამოცანაა დადგინდეს ის ციფრული ტრანსფორმაციები რომლებიც ცვლილებებს იწვევს ადამიანში, სოციალურ სივრცეში, კულტურაში, რაც გამოიხატება აზროვნების, აღქმის, კომუნიკაციის, ენის, საცხოვრებელი სივრცის, ინდივიდის სოციალიზაციის რესტრუქტურირებაში და გლობალურ კულტურულ გამოწვევებში.

დასკვნის სახით შეიძლება ითქვას, რომ ციფრული ტექნოლოგიების უწყვეტი განვითარებით, მთარგმნელობითი საქმიანობის ფორმა კვლავ შეიცვლება და უფრო ინოვაციური გახდება მომავალში.

ერთი შეხედვით, ციფრული რევოლუცია ანადგურებს ტრადიციული თარგმანის იმიჯს ნაბეჭდი ტექსტის სახით, მაგრამ ღრმა დონეზე იწვევს მთარგმნელობითი პრაქტიკის და მთარგმნელობითი კვლევის ტრადიციული პარადიგმის სტრატეგიკაციას და რეკონსტრუქციას.

კვლევის შედეგები: ჩვენ მიგვაჩნია, რომ მთარგმნელობითი განათლება რაც შეიძლება მალე უნდა იყოს სეგმენტირებული: უნივერსიტეტებს შეუძლიათ შესთავაზონ მსურველებს საბაზისო და შუალედური თარგმნის, ლოკალიზაციისა და პროექტის მენეჯმენტის, კომპიუტერული თარგმნის ენის, მანქანური რედაქტირების, აუდიოვიზუალური თარგმნის, თამაშის თარგმნის კურსები

გამოყენების სფერო: კვლევა შეიძლება იყოს გამოყენებული უნივერსიტეტების მიერ თარჯიმანთა მომზადების პროცესში.

საკვანძო სიტყვები: თარგმანი, ციფრული ტრანსფორმაციები, დიგიტალიზაცია, ტექნოლოგიები.

მსოფლიოში დაიწყო მეოთხე ინდუსტრიული რევოლუცია. დიგიტალიზაციის შედეგად გამოწვეული მრავალი პრობლემა დაკავშირებულია მხოლოდ და მხოლოდ სხვადასხვა საინფორმაციო და კომპიუტერული ტექნოლოგიების გამოყენებასთან.

თანამედროვე საინფორმაციო ტექნოლოგიებისა და ინტერნეტის აქტიურმა განვითარებამ მთლიანად შეცვალა პრაქტიკოსი მთარგმნელების მუშაობის რეჟიმი და ის უფრო მოსახერხებელი გახდა. ამან იმოქმედა თარგმნის პროცესის, როგორც კომუნიკაციის ერთ-ერთი სახეობის განვითარებაზე, რომელიც დაკავშირებულია ადამიანის ცხოვრების სხვადასხვა ასპექტთან.

ეს ნაშრომი განიხილავს თარგმანის ტექნოლოგიურ მხარდაჭერასთან დაკავშირებულ პრობლემებს, თარგმანის ციფრული ტრანსფორმაციის დადებით და უარყოფით მხარეებს, ციფრული ტექნოლოგიების გამოყენების საზღვრებსა და შესაძლებლობებს თარგმანში. ეს სტატია დაიწერა თანამედროვე დისკუსიების ფონზე საზოგადოების დიგიტალიზაციის პრობლემებთან დაკავშირებით; ასევე ამ პრობლემების გააზრების ფონზე როგორც ფილოსოფიაში, ასევე სპეციალურ მეცნიერებებში, კერძოდ, თარგმნის მეცნიერებაში. მასში გამოკვეთილია ციფრული ტრანსფორმაციები როგორც ცვლილებებს იწვევს ადამიანში, სოციალურ სივრცეში, კულტურაში, რაც გამოიხატება აზროვნების, აღქმის, კომუნიკაციის, ენის, საცხოვრებელი სივრცის და ინდივიდის სოციალიზაციის რესტრუქტურირებაში. განხილულია გლობალური კულტურული გამოწვევები ტრანსჰუმანიზმის იდეოლოგიასა და მის საპირისპირო მიმდინარეობებში.

ჩვენ ვცხოვრობთ სხვადასხვა ტექნოლოგიების სწრაფი განვითარების ეპოქაში. თანამედროვე ადამიანის ცხოვრების ყველა დონემ, გლობალური პოლიტიკიდან და ეკონომიკიდან ყოველდღიურობამდე, განიცადა დრამატული ცვლილებები ბოლო რამდენიმე ათწლეულის განმავლობაში. ერთ-ერთი ფაქტორი, რამაც გამოიწვია „მეოთხე სამრეწველო რევოლუციის“ (Klaus Schwab, 2011) დაწყება და ინდუსტრია 4.0 გაჩენა, მოიცავდა საინფორმაციო და საკომუნიკაციო ტექნოლოგიებს და მათთან დაკავშირებულ მთლიან დიგიტალიზაციას. აღსანიშნავია როგორც ახალი საინფორმაციო და საკომუნიკაციო სივრცის გაჩენა, რომელმაც რადიკალურად შეცვალა სოციალური ცხოვრების ჩვეული წესრიგი, ასევე ციფრული ტექნოლოგიების სწრაფი განვითარებითა და გავრცელებით გამოწვეული ცვლილებების სიჩქარის მკვეთრი ზრდა. ციფრული ტექნოლოგიები, ისევე როგორც ადამიანის მიერ შემუშავებული ნებისმიერი სხვა ტექნოლოგია, არის მისი სურვილის მუდმივი ზრდის, ეფექტურობისა და ცხოვრების სხვადასხვა ასპექტის ოპტიმიზაციის შედეგი. ტექნიკის, ტექნოლოგიების, ენერგიის, საქონლისა და სერვისების გაუმჯობესებით, რომლებიც დაფუძნებულია სამეცნიერო კვლევის შედეგების გამოყენებაზე, ადამიანები ცდილობენ მიაღწიონ ეკონომიკურ, სოციალურ, გარემოსდაცვით, საინფორმაციო და სხვა ეფექტებს. და ამ სურვილში საკუთარი თავის გადაჭარბების სურვილიც ჩანს. (ინდუსტრია 4.0 არის გადასვლა სრულად ავტომატიზებულ ციფრულ წარმოებაზე, რომელსაც აკონტროლებს ინტელექტუალური სისტემები რეალურ დროში გარე გარემოსთან მუდმივი ურთიერთქმედებით, სცილდება ერთი საწარმოს საზღვრებს, ნივთებისა და სერვისების გლობალურ ინდუსტრიულ ქსელში გაერთიანების პერსპექტივით. მან მიიღო სახელი 2011 წელს მსოფლიო ეკონომიკურ ფორუმზე კლაუს შვაბის მოხსენებასთან დაკავშირებით).

ჯერ კიდევ 1957 წელს ჯულიან ჰაქსლი წერდა: „თუ მოინდომებს, ადამიანთა სახეობას შეუძლია გადააჭარბოს საკუთარ თავს და არა მხოლოდ ცალკეულმა ინდივიდებმა - ერთმა აქ, ამგვარად, მეორემ იქ - სხვა გზით, არამედ ერთობლივად, როგორც მთლიანმა კაცობრიობამ. ჩვენ უნდა ვუწოდოთ რაღაც სახელი ამ ახალ რწმენას. შესაძლოა ტერმინი ტრანსჰუმანიზმი მართებული იყოს: ადამიანი რჩება ადამიანად, მაგრამ სცილდება თავის საზღვრებს, აცნობიერებს და რეალიზაციას

უკეთეს ადამიანის ბუნების ახალ შესაძლებლობებს (Huxley, 1957: 17), (თარგმანი მ.მ).

ზეადამიანური თვისებების შეძენის სურვილი ისეთივე ძველია, როგორც ადამიანის ცნობიერების გაჩენა. ადამიანები მუდმივად ეძებენ გზებს, რომ გასცდნენ ადამიანის საზღვრებს, იქნება ეს ეკოლოგიის, გეოგრაფიის, ეკონომიკის, ფიზიოლოგიის, შემოქმედების თუ სულიერების სფეროებში. ტრანსჰუმანიზმის იდეოლოგია, რომელიც დაფუძნებულია დარვინის ევოლუციურ თეორიაზე, და რომელიც კაცობრიობას საშუალებას აძლევს გადააჭარბოს საკუთარ თავს, გახდა მომავლის წინასწარმეტყველების და მასზე ნაწილობრივი გავლენის მოხდენის ერთ-ერთი საშუალება.

ტრანსჰუმანიზმი ეფუძნება სამეცნიერო და ტექნოლოგიური რევოლუციის შედეგებს, განსაკუთრებით მაღალი ტექნოლოგიების სფეროში, როგორიცაა ნანო-ბიო-ინფო-კოგნო (NBIC) ტექნოლოგიები და ხელოვნური ინტელექტი (AI). ეს არის ადამიანებზე და მათ ცხოვრებისეულ სამყაროზე ზემოქმედების უპრეცედენტო და მანამდე წარმოუდგენელი შესაძლებლობები. ითვლება, რომ ტრანსჰუმანიზმმა, როგორც იდეოლოგიამ, უნდა შეცვალოს ანთროპოლოგია და ჰუმანიზმი - „ძველი“, „ტრადიციული“, „ბუნებრივი“ თეორიები და მსოფლმხედველობა ადამიანზე და შესაბამისი წარმოდგენა მის შესაძლებლობებზე (კუტირევი, 2010: 4).

ტრანსჰუმანიზმის მიზანია ტექნოლოგიის გამოყენება სიღარიბესთან, დაავადებასთან, ინვალიდობასთან და ადამიანის ცხოვრების სხვა ნეგატიურ მოვლენებთან საბრძოლველად, ყურადღების გამახვილება მომავალის ტექნოლოგიებზე და ინოვაციურ სოციალურ სისტემებზე ცხოვრების ხარისხისა და ადამიანის გარემოს გასაუმჯობესებლად. თუმცა, როგორ ვითარდება საზოგადოება ამ მომენტში, არა ყოველთვის და არა ყოველნაირად ნაირად არ ჰგავს იმას, რაც ხალხს ჰქონდა წარმოდგენილი.

დღეს ტექნოლოგია წმინდა დამხმარე საშუალებიდან დამოუკიდებელ დომინანტურ ფაქტორად იქცა (Mironov, 2015: 148). არსებობს საშიშროება, ადამიანის, როგორც მხოლოდ საშუალებად წარმოდგენის საფრთხე და, შესაბამისად, მის ადამიანურ ბუნებაში აგრესიული ჩარევის შესაძლებლობის საფრთხეც. აქედან გამომდინარე, ძალიან მნიშვნელოვანია ადამიანის და ტექნოლოგიური პროგრესის შესწავლა ფილოსოფიურ ასპექტში. ტექნიკური პროგრესი შეიძლება იყოს მიმართული არა მხოლოდ სიკეთისკენ, არამედ კაცობრიობის წინააღმდეგაც, მას შეუძლია არა მხოლოდ უარყოფითად იმოქმედოს სოციალურ გარემოზე და თავად პიროვნებაზე, არამედ ადამიანის ბიოსოციალურ არსზე და სულიერ საფუძვლებზე. მაღალი ტექნოლოგიების მომავალს მოაქვს ახალი იდეები სამყაროსა და ადამიანის შესახებ, ახალი ცოდნა, ღირებულებები და ნორმები, ცნობიერი და არაცნობიერი მიზნები. ბიოტექნოლოგიები, კიბორგის ტექნოლოგიები (ნანო ტექნოლოგიების და ხელოვნური ინტელექტის ტექნოლოგიების ჩათვლით), ვირტუალური რეალობის ტექნოლოგიები და ა.შ. ყველა ეს მაღალტექნოლოგიური ჯგუფი სწრაფად ვითარდება ეგრეთ წოდებულ პოსტმოდერნულ საზოგადოებაში. ადამიანის იდენტურობის პრობლემა ბიოტექნოლოგიური გარდაქმნების კონტექსტში ბადებს ადამიანის არსებობის სპეციფიკის, მისი თვითგამორკვევის საფუძვლების მეტაფიზიკურ პრობლემას.

მკვლევარები ყურადღებას აქცევენ თანამედროვე ადამიანის შინაგანი სამყაროს მთლიანობის, მისი ძირითადი ფასეულობების ნგრევას, რაც იწვევს ადამიანის არსებობის ეგზისტენციალური საფუძვლების მოშლას. პოსტმოდერნული ეპოქის ადამიანი ხდება ტექნიკაზე და ტექნოლოგიაზე დამოკიდებული და ეს კიდევ უფრო

ამომავლებს იდენტობის პრობლემას: ადამიანის სხეულებრივი ყოფნა, მისი არსებობის ფორმები ხდება პოლივარიანტული (ხაკიმოვა 2015: 148). ეს წარმოადგენს „ანთროპოლოგიური კრიზისის“ ან თუნდაც „ანთროპოლოგიური კატასტროფის“ არსს - ასე ხასიათდება ჰუმანიტარული პარადიგმის უარყოფა და მისი ტრანსჰუმანიტარული პარადიგმით შეცვლა (კუტირევი, 2012: 9). ამდენად, აუცილებელია ჩვენს ცხოვრებაში ტექნოლოგიების დანერგვის უარყოფითი მხარეების სისტემატური შესწავლა და მათი განხორციელების შესაძლო შედეგებზე ფიქრი.

მეცნიერებისა და ტექნოლოგიების სწრაფი განვითარება აღინიშნება კაცობრიობის განვითარების ახალ ფაზაზე გადასვლით და ახალი გამოწვევებით, რაც გვაფიქრებინებს მთელი რიგი პროფესიული საქმიანობების ძალიან განსხვავებული ტიპის მომავალზე. გამონაკლისი არც მთარგმნელობითი საქმიანობაა. თარგმანი და მეცნიერება ყოველთვის განუყოფლად იყო დაკავშირებული ერთმანეთთან. როგორც ო. კოსტიკოვა აღნიშნავს, „თარგმანის მთელი ისტორია დამაჯერებლად ადასტურებს, რომ ამ ტიპის საქმიანობის ევოლუცია პირდაპირ კავშირშია ინფორმაციის ჩაწერის, რეპროდუცირების, შენახვისა და გადაცემის ტექნოლოგიების განვითარებასთან“. დამწერლობისა და კურსორული წერის გამოგონება, ხმის დისტანციურად მიღებისა და გადაცემის ტექნოლოგიები, სურათების გადაღებისა და მაუწყებლობის სისტემები, მენფრეიმებისთვის ავტომატური ინტერლინგვური გადასვლების პროგრამები - ყველა ეს ტექნოლოგიური ეტაპი აღნიშნავს ახალ ეტაპებს თარგმანის განვითარებაში. მათთან ასოცირდება მთარგმნელობითი საქმიანობის ახალი ტიპების გაჩენა: წერილობითი თარგმანი, ზეპირი თანმიმდევრული თარგმანი, სინქრონული თარგმანი, აუდიოვიზუალური თარგმანი, მანქანური თარგმანი. თარგმანის, როგორც აქტივობის განვითარებაზე გავლენა იქონია ინფორმაციის მატარებლების მოდიფიკაციამ - ამის გამო ხდება ინფორმაციის გაშუქების, სიჩქარის და მოცულობის ზრდა. 21-ე საუკუნეში ასეთი განვითარების კიდევ ერთი მოვლენა მოხდა მანქანების (=კომპიუტერების) გამოგონების წყალობით, ასევე ქსელური ურთიერთქმედების და ინფორმაციის დისტანციური გადაცემის, ანუ ინტერნეტის წყალობით. მართლაც, „ტექნოლოგიური პროგრესმა შეცვალა პროფესიების სახე და აგრძელებს ამ ცვლილებებს. ასეთი ცვლილებები გავლენას ახდენს ასევე თარგმანის პროცესზე, მის ხარისხობრივ და რაოდენობრივ მახასიათებლებზე“ (კოსტიკოვა, 2016: 75-81), (თარგმანი მ.მ).

თარგმანსა და მეცნიერებას შორის კავშირის მნიშვნელობა შეიძლება ასე გამოიხატოს: მთარგმნელობითი საქმიანობა მკვლევარების მიერ განსაზღვრულია, როგორც ხელოვნება, დაფუძნებული მეცნიერებაზე, რომელიც ანვითარებს ტექნოლოგიებს. „თარგმანის ხელოვნება არის გონების (=ინტელექტის) ნამუშევარი, რომელიც მოიცავს არა მხოლოდ ტექნოლოგიურ ოსტატობას, არამედ კრეატიულობას, თუნდაც ემპაკობას, მოხერხებულობას და ინტელექტს, ასევე სოციალურ და ფსიქოლოგიურ ადაპტირებას“ (გარბოვსკი, კოსტიკოვა, 2019: 5), (თარგმანი მ.მ)

ციფრულ ეპოქაში თარგმანი შეიცვალა. ის წარმოადგენს „საწინააღმდეგო ურთიერთობების კომპლექსურ სისტემას ბინომში: „ადამიანი - ჰიპოთეზური მანქანა (ხელოვნური ინტელექტი)“. საუბარია ახალი კონცეფციის - „ციფრული თარგმანის“ გაჩენაზე (გარბოვსკი, კოსტიკოვა, 3). „ციფრული თარგმანი“ განისაზღვრება ნ. გარბოვსკისა და ო. კოსტიკოვას მიერ, როგორც ახალი ტიპის თარგმანის ტექნოლოგია, რომელიც დაფუძნებულია თარგმანისა და ციფრული ინფორმაციისა და საკომუნიკაციო საშუალებების, ხელოვნური ინტელექტის (AI) ქსელური ურთიერთქმედების სისტემაზე.

ეს სისტემა შექმნილია მთარგმნელობითი ხელოვნების ეფექტურობისა და მთარგმნელობითი პროდუქტების ხარისხის გასაუმჯობესებლად.

„ციფრული თარგმანის“ კონცეფცია შეიძლება დროთა განმავლობაში შეიცვალოს და მას ახალი მნიშვნელობები დაემატოს. „ჩვენ ვსაუბრობთ ურთიერთქმედების სისტემაზე ინფორმაციული ტექნოლოგიებით მოსარგებლე ადამიან-თარჯიმანსა და ხელოვნურ ინტელექტს შორის, სადაც ხელოვნური ინტელექტი იყენებს ინფორმაციული ტექნოლოგიების უპირატესობებს და უნარს, განახორციელოს ავტომატური თარგმანი. ასევე შეუძლია შეასრულოს სხვადასხვა ფუნქციები, შეცვალოს ადამიანი-თარჯიმანი მთლიანად ან ნაწილობრივ ინტერლინგვური კომუნიკაციის ზოგიერთ სიტუაციაში, მუდმივად განვითარდეს, გააუმჯობესოს „მანქანური თარგმანის უნარები“ (გარბოვსკი, კოსტიკოვა, 12), (თარგმანი მ.მ). ამ სისტემაში, მკვლევარების აზრით, აშკარად ჩანს, როგორც ორმხრივი სარგებელი, ასევე დაუფარავი ანტაგონიზმი.

ახალი ფენომენები თარგმანში

საქმიანობა დიגיტალიზაციის ეპოქაში

ჟურნალის "The Digital Scholar: Philosopher's Lab" ავტორები აღნიშნავენ აშკარა ცვლილებებს ადამიანში, კულტურასა და სოციალურ სივრცეში. განსხვავება საინფორმაციო და სოციალურ სივრცეს შორის სუსტად არის გამოხატული. სამყარო კი თითქმის კომუნიკაციების პრიზმაში აღიქმება (ასტაშოვა, 2018: 169). „ქალაქი ხდება რთული ინჟინერიის, ტექნოლოგიური „ქსელების“ დინამიური ნაკრების პროდუქტი. ადამიანის შემოქმედებითი საქმიანობა ტრანსფორმირდება ინტერნეტის პროტოკოლური სტრუქტურის, ინტერნეტ კომუნიკაციის „არქიტექტურის“ გავლენით, რომელიც ახასიათებს ციფრული სივრცის სპეციფიკურ და პრობლემურ კულტურულ ფორმებს“ (ცურკანი, 2018: 117), (თარგმანი მ.მ).

სოციალური ციფრული მედიის ორმაგი გავლენა გამოიხატება იმაში, რომ, ერთის მხრივ, ის აყალიბებს ქსელური რესურსების და გადაწყვეტილებების პოვნის უნარს მოცემული პრობლემის გადასაჭრელად, მეორეს მხრივ, ზღუდავს ინდივიდის შემოქმედებით შეხედულებას, რადგან ეს ინდივიდი მეტწილად აკოპირებს იმას, რაც ქსელშია (შჩეკოტუროვი, 2019: 160), (თარგმანი მ.მ).

ციფრული ეპოქა წარმოდგენილია როგორც „უარის თქმა შუამავალზე“ (disintermediation) - ურთიერთქმედების ძლიერი ტენდენცია, თუმცა, როგორც მ. კრონინი აღნიშნავს, მეცნიერული პროგრესი არ ნიშნავს მთარგმნელობითი ფუნქციების აბსოლუტურ შესუსტებას. კრონინი ასევე აღნიშნავს, რომ „ობიექტის“ ტრადიციული მექანიკური რეპროდუქცია აღარ იარსებებს, „ობიექტის“ რეპროდუქცია ახლა ციფრული ხელსაწყოების ფუნქცია ხდება (Cronin, 2013: 90), (თარგმანი მ.მ).

თარჯიმნის სამუშაო ადგილმა გადაინაცვლა კომპიუტერთან. შეიცვალა ინტერნეტში თარგმნის ობიექტები, ანუ ქაღალდის ტექსტი და პირადი ირთიერთობა ჩაანაცვლა სხვადასხვანაირმა ელექტრონულმა ტექსტებმა, მათ შორის ტექსტურმა ჩატმა, ხმოვანმა ჩატმა, ჰიპერტექსტმა და ა.შ. ამ ყველაფერმა მნიშვნელოვნად შეცვალა მთარგმნელის საქმიანობა. ახალი პირობები მოითხოვს არა მხოლოდ იმას, რომ მთარგმნელს შეეძლოს ციფრული გამოსახულების ფუნქციონირების პრინციპების გაგება, ინფორმაციის შექმნა და გავრცელება ციფრულ გარემოში, არამედ მოითხოვს ახალი ტიპის თარგმანის შესრულების ცოდნას. ეს არის პროგრამული უზრუნველყოფის ლოკალიზაცია, ვებსაიტის ლოკალიზაცია, პროდუქტის ინტერნაციონალიზაცია. თარგმანის შესაძლებლობებმა, თარგმანის მხარდაჭერის სხვადასხვა ინსტრუმენტების გამოყენებამ და ციფრულ გარემოში თარგმანის

საკომუნიკაციო სისტემამ ასევე განიცადა მნიშვნელოვანი ცვლილებები ინფორმაციის წინასწარი დამუშავების, შენახვისა და გავრცელების არხებში.

მთარგმნელობითი ტექნოლოგიების უწყვეტი და სწრაფი განვითარება ცვლის თარგმანის როგორც ადამიანის უნიკალური კომუნიკაციური აქტივობის ბუნებას. მანქანური თარგმანი, ადამიანის დახმარებით განხორციელებული მანქანური თარგმანი და ადამიანისა და კომპიუტერის ურთიერთქმედება ჩვეულებრივი მოვლენა გახდა. ამავ დროს, თარგმანის ფორმები გამდიდრდა, გართულდა თარგმანის სხვადასხვა ტიპების გარჩევა და გაფართოვდა „თარგმანის“ ცნების საზღვრები. მაგალითად, ტექნოლოგია შლის საზღვრებს სხვადასხვა ტიპის ზეპირ თარგმანებს შორის მათი პროცესის მიმდინარეობის თვალსაზრისით. მაგალითად, ჭკვიანი, ანუ ციფრული კალმების გამოგონებამ წარმოშვა „თანმიმდევრული ინტერპრეტაცია + ერთდროული ინტერპრეტაციის“ ჰიბრიდული მოდელი. მეტყველების ამოცნობის ტექნოლოგიების წყალობით, ინტერპრეტაციის პროცესი შეიცვალა. თუ ადრე ვსაუბრობდით სმენით აღქმაზე და შემდეგ ინფორმაციის ზეპირ რეპროდუცირებაზე, ახლა ამ პროცესში ინტეგრირებულია წერილობითი ტექსტის აღქმაც. მთარგმნელი ერთდროულად მუშაობს ყურით და „მხედველობით“ (მოსაუბრის მეტყველება, ლაპარაკის პროცესთან თითქმის ერთდროულად, ტექსტის სახით იწერება ეკრანზე). გარდა ამისა, ტექნოლოგია შლის საზღვრებს საბოლოო მთარგმნელობით პროდუქტებს შორის. ამჟამად, მსხვილი მთარგმნელობითი კომპანიების მიერ შესრულებული მთარგმნელობითი ამოცანების მნიშვნელოვანი ნაწილი წყდება კომბინირებული ტექნოლოგიით, მათ შორის მანქანური თარგმანისა და ტექსტის ავტომატური რედაქტირების ჩათვლით. მაგრამ არის ბევრი სფერო, სადაც თარგმნის პროცესი მთლიანად ავტომატიზირებულია და ხორციელდება მანქანით ადამიანის რედაქტირების გარეშე. სინამდვილეში, მომხმარებელს ხშირად უჭირს განსჯა, თარგმანის რომელ ნაწილს ახორციელებს მხოლოდ მანქანა და რომელ ნაწილს ახორციელებს მანქანა ადამიანის მონაწილეობით.

კომპიუტერული კორპორაციების გავლენა თანდათან აღწევს პროფესიონალური თარგმანის სფეროში, სადაც უპირატესობა ენიჭება მთარგმნელობით მეხსიერებას, ხოლო ბოლო რამდენიმე წლის განმავლობაში - ტექნოლოგიური განვითარების სახეობა თარგმანთა ბრაუდსორსინგის გზას გაჰყვა, ანუ ეს არის შესაძლებლობა აქ და ახლავე ერთობლივად გადაწდეს თარგმნის ამოცანები მთარგმნელების მიერ, რომლებიც იმყოფებიან პლანეტის სხვადასხვა კუთხეში ონლაინ კომუნიკაციის შესაძლებლობების გამოყენებით.

მთარგმნელობითი ტექნოლოგიის შემოღებით და თარგმნის მოდელების მუდმივი განახლებით, თარგმანის სოციალური ბუნება უფრო აშკარა გახდა. 2009 წელს „თარგმანის საერთაშორისო დღე“ გაიმართა დევიზით: „ერთად მუშაობა“. ამგვარად, მთარგმნელთა საერთაშორისო ასოციაციამ მოუწოდა მთარგმნელებს მთელ მსოფლიოში, შეხედონ ერთობლივი თარგმანის მნიშვნელობას ახალი პერსპექტივიდან, რაც არის პასუხი მთარგმნელობით ინდუსტრიაში ახალ ტენდენციებზე.

ელექტრონული რესურსების სიმდიდრისა და ონლაინ კომუნიკაციის მოხერხებულობის წყალობით, მთარგმნელთა საზოგადოებას, ერთის მხრივ, აქვს შესაძლებლობა იყოს უფრო პროფესიონალური, მაგრამ, მეორე მხრივ, ადვილი მისაღწევი გახდა თარჯიმნის პროფესია. ყველაზე ტიპიური მაგალითია „ინტერნეტ სუბტიტრების თარგმნის ჯგუფი“ (fanubbing). მთარგმნელობითი საქმიანობის ამ ტიპს, რომელსაც ახასიათებს „არაპროფესიონალი მთარგმნელების ნებაყოფლობითი

ინტეგრაცია, შრომის დამოუკიდებელი დანაწილება, თვითმომსახურების თარგმანი და უფასო გაცვლა“, მკვლევარები უწოდებენ „სკის-თარგმანს“(hive translation) (Garcia, 2009: 12; Garcia, 2009: 12). ეს „არაპროფესიონალი მთარგმნელები“ არ შემოიფარგლებიან ტრადიციული მთარგმნელობითი აზროვნებით, ისინი თარგმანს განიხილავენ როგორც თვითგამოხატვის საშუალებას, იყენებენ ინტერნეტში ახალ მოდურ სიტყვებს და სხვა საშუალებებს ოფიციალურ თარგმანებში არსებული ხარვეზების დასაძლევად. მთარგმნელისა და მომხმარებლის ურთიერთობის ფენომენი უკვე ახალი თემაა მთარგმნელობით სამეცნიერო კვლევებში.

თარგმანის გამოქვეყნების ფორმა სულ უფრო ციფრული ხდება, ინტერნეტი „კითხვიდან“ „კითხვა-წერაში“ გადაიზარდა. მკითხველები ხშირად ურთიერთობენ ნათარგმნი ტექსტების შინაარსთან ონლაინ გამოხმაურების გზით, როგორიცაა ბლოგები, ფორუმები და მიკრობლოგები. სტრატეგიების არჩევისას, თარგმანების შეფასებასა და მოდიფიკაციაში მონაწილეობა აქცევს თარგმნის პროცესს „ინტერაქტიულ პროცესად“ და თარგმანებს - „ღია ტექსტებად.“

მაგრამ დღეს კითხვაც დიდ ცვლილებებს განიცდის ქაღალდის წიგნიდან ციფრულ წყარომდე. ტრადიციული წიგნი კითხვა გადაიქცა „სკანირებულ კითხვად“ (ბუსარევა, 2019: 78). ამ ცვლილებების შედეგია ახალი ტიპის ტექსტის გაჩენა ვიზუალური კომპონენტებით, რაც ციფრულ ეპოქაში მონაცემების სტრუქტურირების მექანიზმს წარმოადგენს. აქედან წარმოიშვა „კითხვის ციფრიზაციის“ კონცეფცია, რომელიც, ზოგიერთი მკვლევარის აზრით, მისი განვითარების ბუნებრივი ეტაპია, და განისაზღვრება წერილობითი კულტურის ევოლუციით. ეს არის „ახალი წერა“, რომელიც საფუძვლად უდევს ციფრულ რევოლუციას. საწყისი ტექსტის გაგება თარგმანის მთავარი შემეცნებითი ფუნქციაა.

მთარგმნელი არის „ყველაზე ყურადღებიანი მკითხველი“ მას მუდმივად სჭირდება დამატებითი ინფორმაციის მიწოდება. ციფრული კითხვისას კი, სხვადასხვა ვებგვერდები აშორებენ მას ძირითადი ტექსტიდან და ამცირებენ აღქმის სიღრმეს, გარდა ამისა, ციფრული კითხვა კარგავს თავის ხაზოვან ხასიათს, ხაზოვან კითხვასთან შედარებით; როგორც კვლევა აჩვენებს, ასევე იკლებს გაგების დონე და კითხვისგან მიღებული სიამოვნების ხარისხი (Garbovsky, Kostikova, 2019: 13).

ასევე მნიშვნელოვანია კულტურის გავლენა თარგმანზე ციფრულ ეპოქაში. გლობალიზაციისა და დიგიტალიზაციის მზარდი ტენდენცია ბევრ ადამიანს აფიქრებინებს, რომ მსოფლიო კულტურები სულ უფრო და უფრო ჰგვანან ერთმანეთს, მასობრივი ინფორმაციის საშუალებების თარგმნის ახალი მეთოდები უფრო გავრცელებული ხდება და თარგმანი სულ უფრო კარგავს თავის ფუნქციას. თუმცა, ბასეტისა და ლეფევერის (1998) მიხედვით, გლობალიზაციის ეპოქაშიც კი, თარგმანი კვლავაც მნიშვნელოვან ადგილს დაიკავებს ადამიანის ცოდნის სფეროში და შეასრულებს მნიშვნელოვან როლს. მაგრამ თარგმანის შინაარსი შეიცვლება. თარგმანში ფაქტების ზუსტი წარმოდგენით, წინა პლანზე გამოვა ინტერპრეტაციისა და სხვა კულტურის გაცნობის ფუნქციები. მაგრამ ასეთი ფუნქციების განხორციელება ჯერ კიდევ რთულია ციფრული ხელსაწყოების გამოყენებით.

და ბოლოს, ზემოთ აღწერილი ცვლილებები არ შეიძლება არ აისახოს სასწავლო პროცესში. ელექტრონული კომპიუტერების რესურსების გაანალიზებისას, შეიძლება ითქვას, რომ ინფორმაციული ტექნოლოგიებისა და ციფრული საგანმანათლებლო რესურსების ეფექტური ინტეგრაციის წყალობით, მიმდინარეობს სტუდენტების მიერ ცოდნის დამოუკიდებლად შეძენის შესაძლებლობა ახალი მეთოდით. ციფრული თარგმანის სასწავლო რესურსებმა შეცვალა თარგმანის სწავლების ტრადიციული

მეთოდები და დამოკიდებულებები მასწავლებელსა და სტუდენტს შორის. ასევე შესაძლებელი გახდა სტუდენტების მიერ თარგმანის დამოუკიდებლად შესწავლა. კომპიუტერული თარგმანი არის ციფრული თარგმანის სწავლების მდიდარი რესურსების მნიშვნელოვანი ნაწილი, რომლის გამოყენების დონე პირდაპირ გავლენას ახდენს სტუდენტების მიერ ციფრული თარგმანის შესწავლის ეფექტზე და ასევე წარმოადგენს ციფრული თარგმანის სწავლების განხორციელების საფუძველს.

თარგმანის ტექნოლოგიური ოპტიმიზაცია და მომავლის თარჯიმნების მომზადება

არსებობს ავტომატური თარგმანის მრავალი ინსტრუმენტი: სიტყვების დამუშავების პროგრამული უზრუნველყოფა, ოპტიკური სიმბოლოების ამოცნობის პროგრამული უზრუნველყოფა, საძიებო ინსტრუმენტები, მთარგმნელობითი მეხსიერების პროგრამები (Trados, Wordfast და memoQ), ლოკალიზებული პროგრამული უზრუნველყოფა (Alchemy Catalyst, SDL). მომსახურებაზე დაფუძნებული ხელოვნური ინტელექტი დაგეხმარებათ ტექსტის დაწერაში და გრამატიკული და ორთოგრაფიული შეცდომების იდენტიფიცირებაში (ApSIC Xbench, writefull, Verifika) და ა.შ.

საინფორმაციო ტექნოლოგიების განვითარებით, ბოლო წლებში სწრაფად განვითარდა მთარგმნელობითი ტექნოლოგიები და მთარგმნელობითი პლატფორმები. დიდი მონაცემების ეპოქაში, კორპუსის რესურსები სულ უფრო უხვი ხდება. ასევე სწრაფად ვითარდება მეტყველების ამოცნობის ტექნოლოგია.

დამუშავებულია ინტელექტუალური ენის ტექნოლოგიები, როგორცაა მეტყველების კარნახი, ხმის აკრეფა, ხმის თარგმანი, მეტყველების ტრენინგი, საკონფერენციო კარნახი და საზოგადოებრივი აზრის მონიტორინგი. SDL-ის მთარგმნელობითი პროგრამული უზრუნველყოფის შემქმნელებმა შექმნეს ვებ-ზე დაფუძნებული ტექსტის შექმნისა და დამუშავების ხელსაწყოები, თარგმნის მეხსიერების პროგრამები, ტერმინების მართვა, მეტყველების ამოცნობა, ხარისხის ავტომატური კონტროლი, თარგმანის მართვა და სხვა ინსტრუმენტები, რომლებიც ფართოდ გამოიყენება ნებისმიერ ინდუსტრიაში. ავტომატური თარგმანის პროგრამულმა უზრუნველყოფამ ასევე შეიტანა მნიშვნელოვანი ცვლილებები თარგმანში, რაც გამოიხატება დამოუკიდებელი ვერსიიდან ონლაინ, ინტეგრირებული განვითარების გარემოზე დაფუძნებულ თანამშრომლობაზე გადასვლაში. ასევე ერთი კომპიუტერის პლატფორმიდან დივერსიფიცირებულ სმარტ ტერმინალზე გადანაცვლებაში.

ავტომატური თარგმანის გამოყენება სულ უფრო ხშირად ხდება ენობრივი მომსახურების ინდუსტრიაში. მანქანური თარგმანი უფრო გავრცელებული გახდა რუსული ენობრივი მომსახურების ინდუსტრიაში. გამოკითხულ რუსულ სერვის-ენოვან კომპანიებს შორის 41% ხშირად იყენებს მანქანურ თარგმანს თავის საქმიანობაში, დაახლოებით ამდენივეა მთარგმნელი, ხოლო 45%-მა აღნიშნა, რომ ზოგჯერ იყენებს მანქანურ თარგმანს. ამავდროულად, გამოკითხულთა 80% თვლის, რომ ტექნოლოგიის გამოყენებამ თარგმანში შეიძლება შეამციროს თარგმანის ხარჯები, ხოლო 67% დარწმუნებულია, რომ მტექნოლოგიის გამოყენებამ თარგმანში შეიძლება გააუმჯობესოს მისი ხარისხი.

ამკარაა, რომ დიგიტალიზაცია გარდაუვალი ტენდენციაა თარგმანის განვითარებაში, ის ცვლის თარგმნის ტრადიციულ მეთოდს, მაგრამ, რა თქმა უნდა, საფრთხეს უქმნის ამ ტიპის საქმიანობას. უნდა გავანალიზოთ კომპიუტერული ტექნოლოგიით თარგმანის უზრუნველყოფისას გამოვლენილი ხარვეზები. ჩვენ უნდა

გვესმოდეს, რომ მომავალში თარჯიმნები არ შეიცვლება მანქანებითა და რობოტებით, არამედ შეიცვლება იმ მთარგმნელებით, რომლებიც იყენებენ მანქანებსა და რობოტებს. ასევე აუცილებელია გავიგოთ მანქანებთან და AI-სთან ურთიერთქმედების პრინციპები.

პროფესიონალი მთარგმნელები არიან მაღალკვალიფიციური სპეციალისტები, რომლებიც ყოველთვის სჭირდება ბიზნესს. ტექნოლოგიებზე ორიენტირებული ნიჭის შესაძლებლობების განვითარების სისტემა ენობრივი სერვისებისთვის ინფორმაციის ხანაში მოიცავს ხუთ მოდულს: ენობრივი უნარები, პროფესიული ცოდნა, პროექტის მენეჯმენტი, საინფორმაციო ტექნოლოგიები და პროფესიული მიღწევები მთარგმნელობითი საქმიანობის ციფრული ბუნება ახალ მოთხოვნებს უყენებს მთარგმნელთა უნარების სისტემას. მთარგმნელებს უნდა ჰქონდეთ არა მხოლოდ ტრადიციული თარგმანის შესაძლებლობები, არამედ უნდა ჰქონდეთ თარგმანის ტექნოლოგიებთან დაკავშირებული უნარები, მათ შორის კომპიუტერული უნარები, დიდი მონაცემებისა და სუპერ კომპიუტერების გამოყენების უნარი, ინფორმაციის მოძიება და ციფრული წიგნიერების უნარები, ტერმინოლოგიის მართვის უნარები და გარკვეული პროგრამირების უნარებიც კი.

ჩვენი აზრით, თარჯიმნების მომზადებისას აუცილებლად უნდა გავითვალისწინოთ ის ფაქტორი, რომ თარჯიმანს უნდა შეეძლოს წარმატებული ინტერლინგვური კომუნიკაციის უზრუნველყოფა ადამიანის საქმიანობის უმეტესი სახეობების დიგიტალიზაციის დროს. „აუცილებელია ყურადღებით და ყოვლისმომცველად იყოს განხილული მთარგმნელთა განათლების გაღრმავების საკითხი, რომელიც მოიცავს არა მხოლოდ ეფექტურ დიალოგს ადამიანსა(მთარგმნელი) და ხელოვნურ ინტელექტს შორის, არამედ ელექტრონული ინფორმაციის მატარებლების კარგად ცოდნას“ (Garbovsky, Kostikova, 2019: 18), (თარგმანი მ.მ). ადამიანი და კომპიუტერი ერთმანეთის ძლიერ მხარეებს უნდა ავსებდნენ. კომპიუტერს შეუძლია დაზოგოს სტუდენტების დრო ლექსიკონებისა და ინფორმაციის მოძიებისას. კომპიუტერის დახმარებით მთარგმნელობითი პროგრამა გთავაზობთ მრავალი მოსახერხებელი და სწრაფი ინტერაქტიული ინსტრუმენტის გამოყენების შესაძლებლობას. ამავდროულად, წამყვან ადგილზე რჩება პიროვნების როლი თარგმნის პროცესში. თუ ცალკეული სიტყვების მნიშვნელობა არასწორია, შეგიძლიათ გამოიყენოთ საკვანძო სიტყვების ძიების ფუნქცია. ჩვენ შეგვიძლია მოვძებნოთ სამაგალითო წინადადებები, რომლებიც შეიცავს რომელიმე შერჩეულ სიტყვას და ფრაგმენტს და ვიპოვოთ იმ წინადადებების ტიპური მაგალითი, რომლებიც შეიცავს სიტყვას ან ფრაგმენტს მაგალითებისა და სისტემის ბიბლიოთეკებში. კომპიუტერული თარგმნის პროგრამას, როგორც წესი, გააჩნია ათობით პროფესიული ლექსიკა და მილიონობით საწყისი რესურსი, რომელსაც შეუძლია სწრაფად გააუმჯობესოს სტუდენტების თარგმნის დონე, გახადოს თარგმანის ტრენინგი უფრო ზუსტი და სრულყოფილი და გააუმჯობესოს თარგმნის ეფექტურობა.

მიუხედავად იმისა, რომ არსებობს უამრავი სასწავლო რესურსი მთარგმნელობითი ტექნოლოგიების შესახებ ინტერნეტში, ამ რესურსების განაწილება საკმაოდ არათანაბარია: მათ არ აქვთ ორგანიზებულობა და თანაბარი ხარისხი. სხვადასხვა ქვეყნების აკადემიურმა წრეებმა გარკვეულ პროგრესს მიაღწიეს მთარგმნელობითი ტექნოლოგიების სახელმძღვანელოების შექმნაში, მაგრამ ამავე დროს გამოავლინეს გარკვეული პრობლემები: ჯერ ერთი, შინაარსი მოძველებულია და ცოდნის სისტემა არ არის ყოვლისმომცველი, მეორე, აქცენტი კეთდება საკმარისი

რეალური თარგმანის შემთხვევების და პრაქტიკული ოპერაციების დანერგვაზე და არარსებობაზე, მესამე, ის მჭიდროდ არ აერთიანებს ენის მომსახურების ინდუსტრიის განვითარების მოთხოვნებს მთარგმნელთა პროფესიული შესაძლებლობებისთვის, მეოთხე, პრეზენტაციის ფორმა შეზღუდულია, ანუ ქაღალდის წიგნებს არ აქვთ ბმულები ციფრულ რესურსებთან, როგორცაა CD-ROM-ები და ონლაინ კურსები.

მიგვაჩნია, რომ თარგმანის ტექნიკური სახელმძღვანელოების შედგენისას ყურადღება უნდა გამახვილდეს შემდეგ პუნქტებზე:

ა) თანამედროვე მთარგმნელობითი ტექნოლოგიების ამსახველი ცოდნის სრული სისტემა;

ბ) თარგმანის ავთენტური მაგალითების გამოყენება პრაქტიკული ნაბიჯების საჩვენებლად;

გ) ენობრივი მომსახურების ინდუსტრიის პროფესიული შესაძლებლობების ფორმულირება

ადამიანსა და კომპიუტერული ტექნოლოგიების ურთიერთქმედება არის შეუქცევადი განვითარების ტენდენცია თანამედროვე ენობრივი სერვისების ინდუსტრიაში. მიგვაჩნია, რომ მთარგმნელობითი ტექნოლოგიების როლი ენობრივი მომსახურების ინდუსტრიის განვითარების ხელშეწყობაში სულ უფრო მნიშვნელოვანი გახდება. მთარგმნელობითი ტექნოლოგია ჩართულია გამოყენებითი მთარგმნელობითი კვლევების დისციპლინაში. შესაბამისად, აუცილებელია ციფრული ეპოქის მთარგმნელის განათლების დონის გარკვევა და შევსება, რაც, უპირველეს ყოვლისა, გულისხმობს ახალი დისციპლინების დანერგვას, რომელიც მიმართულია როგორც ახალი კომპეტენციების განვითარებაზე, ასევე საშუალო ზოგადსაგანმანათლებლო სისტემაში ადრე შეძენილი კომპეტენციების გაუმჯობესებაზე კერძოდ (გარბოვსკი, კოსტიკოვა 2019: 19):

- პროფესიული „მთარგმნელობითი კითხვა“;
- AP-სთვის ტექსტის „მანქანურის წინარე“ დამუშავება;
- ტექსტების მანქანური რედაქტირება;
- პროფესიონალურად ორიენტირებული რუსული ენის კურსი;
- ინფორმაციის მოძიება, დამუშავება და გადამოწმება „დიდი მონაცემების“

სისტემაში და ა.შ.;

ამჟამად, მანქანური თარგმნის ჩარევა გამორიცხავს დაბალი დონის თარჯიმნებს, მაგრამ ბაზარს ჯერ კიდევ სჭირდება მთარგმნელთა დიდი რაოდენობა, რომლებსაც შეუძლიათ ინტერპრეტაცია და თარგმნა, შეძლებენ ტექსტის "მანქანურის წინარე" დამუშავებას ავტომატური თარგმნისთვის და ტექსტის ავტომატური რედაქტირებისთვის. ასევე შეუძლიათ მთარგმნელობითი პროექტების განხილვა, კორექტირება და მართვა, და ა.შ. გარდა ამისა, ბაზარს სჭირდება პროფესიონალი მთარგმნელების დიდი რაოდენობა, რომლებიც კარგად თარგმნიან და გააჩნიათ შესაბამისი პროფესიული ცოდნა სპეციალიზებულ სფეროებში (როგორცაა მედიცინა, სამართალი, ინჟინერია და ა.შ.). და ბოლოს, საჭიროა მაღალი ხარისხის თარჯიმნები, რომლებსაც შეუძლიათ გაუმკლავდნენ ქართული და უცხოური კულტურული და ლიტერატურული ტექსტების, ახალი ამბების, პოლიტიკური ტექსტების ინტერპრეტაციას და ორმხრივ თარგმნას. ამმხრივ საინტერესოა დღევანდელი ვითარება საქართველოში: ყოველწლიურად დიდი რაოდენობით სტუდენტი ამთავრებს უნივერსიტეტებს მთარგმნელობითი მიმართულებით, მაგრამ ვერ პოულობს დამაკმაყოფილებელ სამუშაოს, თუმცა ენობრივი მომსახურების ბაზარზე კვლავ რჩება კვალიფიციური თარჯიმნების დეფიციტი.

ამასთან დაკავშირებით, ჩვენ მიგვაჩნია, რომ მთარგმნელობითი განათლება რაც შეიძლება მალე უნდა იყოს სეგმენტირებული: უნივერსიტეტებს შეუძლიათ შესთავაზონ მსურველებს საბაზისო და შუალედური თარგმნის, ლოკალიზაციისა და პროექტის მენეჯმენტის, კომპიუტერული თარგმნის ენის, მანქანური რედაქტირების, აუდიოვიზუალური თარგმნის, თამაშის თარგმნის კურსები. მაგრამ ჩვეულებრივმა კლასიკურმა თარგმანმა უნდა შეინარჩუნოს წამყვანი როლი სწავლებაში. განსაკუთრებით აქცენტი უნდა გამახვილდეს ინტერპერსონალური და კულტურათაშორისი კომუნიკაციის უნარებზე, გუნდური მუშაობის უნარებზე, ორგანიზებულობისა და კოორდინაციის უნარებზე და აქტიური მთარგმნელის კომპეტენციებზე (ენობრივი მომსახურების უნარი). სასწავლო პროგრამის მთავარი საკითხი უნდა იყოს სტუდენტების შესაძლებლობა გაიარონ პროფესიული სტაჟირება და პრაქტიკა დაწესებულებაში.

თარჯიმნების ასეთი მომზადება საშუალებას მისცემს თითოეულ უნივერსიტეტს უკეთ გაიაზროს თავისი მასწავლებლებისა და სტუდენტების მახასიათებლები, მონიტორინგი გაუწიოს შრომის ბაზრებსა და სამომავლო მიზნებს, გაიგოს სპეციფიკური მოთხოვნები, რომლებიც კურსდამთავრებულებს ეკისრებათ პროფესიულ სამყაროში, ყველა უნივერსიტეტმა ეს უნდა გააკეთოს საკუთარი განვითარებისთვის, იმისთვის, რომ შეადგინოს უფრო მიზნობრივი სასწავლო პროგრამები. შესაბამისად, შრომის ბაზარზე თითოეული კომპანია იპოვის თავის სასურველ თარჯიმანს.

დასკვნა

ციფრულ ეპოქაში, ინტერნეტის მომხმარებელთა რაოდენობა უფრო და უფრო იზრდება. თარგმნის თეორიისა და პრაქტიკის მკვლევარების წინაშე მდგარი ერთ-ერთი გამოწვევაა გლობალური ციფრული საზოგადოების პროდუქტიული პოტენციალის გამოვლენა და ენის გამოხატვისა და აქტივობის ახალი ფორმების შექმნა. ციფრული ტექნოლოგიების უწყვეტი განვითარებით, მთარგმნელობითი საქმიანობის ფორმა კვლავ შეიცვლება და უფრო ინოვაციური გახდება მომავალში.

ერთი შეხედვით, ციფრული რევოლუცია ანადგურებს ტრადიციული თარგმანის იმიჯს ნაბეჭდი ტექსტის სახით, მაგრამ ღრმა დონეზე იწვევს მთარგმნელობითი პრაქტიკის და მთარგმნელობითი კვლევის ტრადიციული პარადიგმის სტრატეგიკაციას და რეკონსტრუქციას. ინფორმაციის ხანა არის თარგმანის ხანა. სასწრაფოდ უნდა გამოვიყენოთ ახალი იდეები და მეთოდები სასაუბროდ, ფიქრისთვის და თარგმანის შესასწავლად. მხოლოდ ამ გზით შევძლებთ სრულად აღვწეროთ ციფრულ ეპოქაში თარგმანის ცვლილებები და ტენდენციები, აღმოვფხვრათ ეპისტემოლოგიური დაბნეულობა და უთანხმოება და საბოლოოდ აღვადგინოთ მთარგმნელობითი პრაქტიკა და კვლევის პარადიგმა.

ლიტერატურა:

- Busareva S.G.** Ot klassicheskikh nauchnykh metafor k vizualizaci dannyh: cifrovaya vizual'naya grammatika v kontekste teorii voploshchyonogo poznaniya // The Digital Scholar: Philosopher's Lab / Cifrovoy uchyonyj: laboratoriya filosofa, 2019. T. 2. № 1. S. 78–87.
- Vinogradskij B.B.** Vvedenie // «Traktat ZHyoltogo imperatora o vnutrennem» [el. resurs]. URL: <http://ligis.ru/librari/2571.htm>
- Garbovskij N.K., Kostikova O.I.** Intellect v cifrovom perevode: iskusstvennyj ili iskusnyj? // Vestnik Moskovskogo universiteta. Seriya 22. Teoriya perevoda, 2019. № 4. S. 3–23.
- Ignat'ev V.I.** Informacionnaya peregruzka social'noj sistemy i eyo social'nye posledstviya // Sociologicheskie issledovaniya. № 7, 2017. S. 3–12.
- Kostikova O.I.** Evolyuciya informacionno-kommunikacionnyh tekhnologij v istorii perevoda // Rol' sovremennyh informacionnyh tekhnologij v povyshenii kachestva perevoda i razvitii effektivnyh kommunikacij: sbornik

materialov konferencii 26 fevralya 2016 g. / nauch. red. A.A. Pogorelov. Prezidentskaya biblioteka. SPb., 2016. S. 75–81.

Kostikova O.I. Ocenka perevoda: ot obucheniya k professii // Vestnik Moskovskogo universiteta. Seriya 22. Teoriya perevoda, 2013. № 4. S. 51–65.

Kutyrev V.A. Kuda sdvigat' gumanitarnyj vektor? / V.A. Kutyrev. Gumanitarnyj vektor. 2012. № 3. S. 9–16.

Kutyrev V.A. Uchebno-metodicheskoe posobie Filosofiya transgumanizma, Nizhnij Novgorod, 2010. S. 85.

Mironov V.V. Platon i sovremennaya peshchera big-data // Vestnik SanktPeterburgskogo universiteta. Filosofiya i konfliktologiya, 2019. T. 35. Vyp. 1. S. 4–24.

Hakimova O.B. Filosofskij analiz perspektiv cheloveka v mire HITECH. Sociologicheskie nauki, 2015. S. 148–151.
Bassnett S., Lefevere A. Constructing Cultures: Essayson Literary Translation [M]. Clevedon & London Multilingual Matters, 1998.

Garcia Ignacio. Beyond Translation Memory: Computers and the Professional Translator [J]. Journal of Specialized Translation, 2009. S. 12.

Huxley J. Transhumanism // New Bottles for New Wine. Chatto & Windus London, 1957, pp. 13–17.
<https://archive.org/details/NewBottlesForNewWine/page/n9/mode/2up>

Cronin M. Translation in the Digital Age. London and New York: Routledge, 2013. S.170.

Hook D. Lekciya «Cifrovizaciya, bol'shie dannye i iskusstvennyj intellekt v nauchnyh issledovaniyah: vzglyad Digital Science» (Deniel Huk, Digitalization, Big data and AI Impact on Research: A Digital Science View), 12 marta 2020.

Jiménez-Crespo M.A. Crowdsourcing, corpus use, and the search for translation naturalness: A comparable corpus study of Facebook and non-translated social networking [J]. Translation and Interpreting Studies, 2013, pp. 23–49.

The Impact of Digital Transformation on Translation

Metreveli Medea

Iakob Gogebashvili Telavi State University

Abstract

The active development of modern information technologies and the Internet has completely changed the work mode of practicing translators, making it more convenient.

Subject of research. This paper examines issues related to technological support for translation, the pros and cons of digitalization of translation, and the limits and possibilities of using digital technologies in translation.

The purpose of the study. The purpose of this study is to analyze contemporary discussions on the problem of digitalization of society and its understanding both in philosophy and in special sciences, in particular, in translation studies.

Research objectives. The study focuses on the changes occurring with a person, social space and culture, expressed in the restructuring of thinking, perception, communication, language, living space and socialization of the individual. These changes are considered as global challenges for culture.

Conclusion. The information age is the age of translation. We urgently need to adopt new ideas and methods to discuss, think about, and study translation. Only then can we fully articulate the changes and trends in translation during the digital era, eliminate epistemological confusion and disagreement, and ultimately reconstruct the practice of translation and the research paradigm.

Translation education should be segmented as soon as possible: universities can offer basic translation courses, intermediate-level courses, as well as courses in technical writing, terminology management, localization and project management, computer-assisted translation, etc.

Key words: translation, digital transformations, digitization